# განა ვერცერთი თქვენგანი ვერ შეძლებს ყოველდღიურად ათასი კეთილი საქმის შეძენას?

სა'ად იბნ აბუ ვაყყაასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: «ჩვენ ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვიყავით, როდესაც მან თქვა: «განა ვერცერთი თქვენგანი ვერ შეძლებს ყოველდღიურად ათასი კეთილი საქმის შეძენას?» მის გვერდით მყოფთაგან ერთმა ჰკითხა: "როგორ შეიძლება ჩვენგან რომელიმემ მიიღოს ათასი სიკეთე?" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ვინც ასჯერ იტყვის „სუბჰანალლაჰ“-ს , მისთვის ჩაიწერება ათასი სიკეთე, და მისგან წაიშლება ათასი შეცდომა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა თავის საჰაბებს: განა ვერცერთი თქვენგანი ვერ შეძლებს ყოველდღიურად ათასი სიკეთის შეძენას? მაშინ მის გვერდით მჯდომთაგან ერთმა ჰკითხა: როგორ შეიძლება ადამიანმა ადვილად მოიპოვოს ათასი სიკეთე ერთ დღეში? შუამავალმა თქვა: ვინც ასჯერ იტყვის „სუბჰანალლაჰ-ს, მისთვის ჩაიწერება ათასი სიკეთე, რადგან თითოეული კეთილი საქმე ათმაგდება, და წაიშლება მისგან ათასი ცოდვა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3762